

სამართლებრივი კულტურის საფუძვლები

ლია გიგაური
ელგუჯა მაკალათია
მაკა ფერაძე

სამართლებრივი კულტურის საფუძვლები

7

თბილისი, 2011

GLSP Georgia Legal Socialization Project
PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს სამართლებრივი განათლების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნის ავტორები: ლია გიგაური, ელგუჯა მაკალათია, მაკა ფერაძე
რედაქტორი: ქეთევან გოჩიტაშვილი
ილუსტრაციები: სანდრო ასათიანი

© PH International, 2011, ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-0-3801-3

წინასიტყვაობა

მოგესალმებით უმცროსო მეგობარო!

გთავაზობთ „სამართლებრივი კულტურის საწყისების” მოკლე კურსს, რომელსაც შენს კლასში რამდენიმე საათი დაეთმობა. კურსის მიზანია მეგზურობა გაგიწიოს სამართლებრივ გარემოში, დაგაფიქროს შენს უფლებებსა და თავისუფლებებზე, სასკოლო წესებსა და ვალდებულებებზე, რომ შემდგომში დამოუკიდებლად შეძლო ისეთი სასკოლო ცხოვრების ორგანიზება, რომელიც პიროვნული განვითარების და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს დაეფუძნება. დაგვეთანხმები, ასეთი სასწავლო გარემო ყველა მოსწავლეს სჭირდება და წარმატების სტიმულს აძლევს!

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ პატარა მოთხრობებში აღწერილია სასკოლო სიტუაციები. მათი განხილვა საზოგადოებრივი წესრიგისა და ქცევის მიმართ შენი დამოკიდებულებების გააზრებაში დაგეხმარება, უკეთ ჩაწვდები საკუთარ პიროვნებას, გაანალიზებ იმ შინაგან ძალებს, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში გამოძრავებს.

სახელმღვანელოში წარმოდგენილ სიტუაციებს განიხილავთ როგორც მორალური, ისე საკანონდებლო კუთხით. ამაში მასწავლებელი და სტუმარი სამართალდამცავი დაგეხმარებიან. ისინი თქვენს მრჩევლებად იქცევიან და აგიხსნიან, როგორ იცავს კანონი მოზარდების ინტერესებსა და უფლებებს.

ბუნებრივია, რომ შენს ასაკში სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით უამრავი კითხვა გაქვს. ჩაინიშნე ისინი, რომ სამართალდამცავისაგან ამომწურავი პასუხი მიიღო.

გვჯერა, რომ ეს სასწავლო კურსი მნიშვნელოვან სარგებელს მოგიტანს.

წიგნის ავტორები შევეცადეთ სახელმძღვანელო ისე აგვეგო, რომ კანონებზე საუბარი საინტერესო და სახალისო გაგვეხადა. იმედი გვაქვს, ეს შევძელით!

გისურვებთ წარმატებას!

ავტორები

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

შეხვედრა I
გაცნობა 7

შეხვედრა II
წესები ჩვენ ირგვლივ 13

შეხვედრა III
ეს ხუმრობაა? 20

შეხვედრა IV
ეს არის მეგობრობა? 27

შეხვედრა V
იარაღი სკოლაში?! 33

შეხვედრა VI
არდადეგები დაიწყო... 38

შეხვედრა VII
ვინ ვარ მე? 45

გაცნობა

დაუსვი შეკითხვები სამართლდამცავს!
„რატომ ხდება ასე?... “, „ეს დასაშვებია?...“
„დავისჯები?...“, „რა მოყვება ამას?...“,
„რატომ არ შეიძლება?...“

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------
8. ----------
9. ----------
10. ----------
11. ----------
12. ----------
13. ----------
14. ----------
15. ----------

როგორ ვიმუშაოთ სახელმძღვანელოთი?

სახელმძღვანელოთი მუშაობა გაგიადვილდებათ, თუ გეცოდინებათ იმ 7 რუბრიკის მნიშვნელობა და მოთხოვნები, რომლისგანაც შედგება თითოეული თემა.

რუბრიკები:



ვისაუბროთ გულახდილად
ყველა თემა იწყება ისეთი შეკითხვებით, რომლებზე პასუხის გაცემაც დაგაფიქრებთ წარმოდგენილი პრობლემის მნიშვნელოვნებაზე და დაგეხმარებათ სიტუაციის სწორად გააზრებაში.



სიტუაცია
ამ რუბრიკაში აღწერილია შემთხვევა სასკოლო ცხოვრებიდან.



ანალოგია
უნდა გაიხსენოთ და ჩაწეროთ მოთხრობაში აღწერილი შემთხვევის მსგავსი მაგალითები თქვენი სასკოლო ცხოვრებიდან.



შეავსეთ ცხრილი
ეს კომპონენტი დაგეხმარებათ გაანალიზოთ სიტუაციაში წარმოდგენილი პრობლემა.



საინტერესო და მნიშვნელოვანი
ამ რუბრიკაში მოგაწვდით თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ.



მოამზადეთ რეკომენდაციები
თქვენ გევალებათ მოამზადოთ როგორც კონკრეტული რეკომენდაციები სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სიტუაციის მონაწილეებისათვის, ისე ზოგადი ხასიათის რჩევები რეალურ სასკოლო ცხოვრებაში მსგავსი პრობლემებისაგან თავის დაცვის მიზნით.



სამი რჩევა საკუთარ თავს!
ამ რუბრიკაში თვითშეფასების საფუძველზე საკუთარი თავისათვის რეკომენდაციებს დაწერთ!
აქ ყველაზე მეტი გულახდილობა მოგეთხოვებათ, რადგან მხოლოდ თქვენ იცით, რა უნდა ურჩიოთ საკუთარ თავს, რომ არ აღმოჩნდეთ თემაში წარმოდგენილი შემთხვევის ანალოგიური სიტუაციის მოქმედი პირი ან მსხვერპლი.
ამ ჩანაწერის ხმამაღლა წაკითხვა არ მოგიწევთ. ის დაგეხმარებათ გაიაზროთ, რომელ სუსტ მხარესთან გჭირდებათ გამკლავება. კურსის დასასრულს კი შეაფასეთ, რამდენად შეძელით ეს.

დახატე და შექმენი შენი ლექსიკონი



სამართალდამცავი არის .....

.....

.....

.....

.....



პოლიციელი არის .....

.....

.....

.....

.....



არასრულწლოვანი არის .....

.....

.....

.....

.....



შინაგანაწესი არის .....

.....

.....

.....

.....

კანონი არის .....

.....

.....

.....

.....

დისციპლინა არის .....

.....

.....

.....

.....

კოდექსი არის .....

.....

.....

.....

.....

სამართალი არის .....

.....

.....

.....

.....

სამართლიანობა არის.....

.....

.....

.....

.....

მავნე ჩვევა არის.....

.....

.....

.....

.....

დანაშაული არის.....

.....

.....

.....

.....

ვისაუბროთ გულახდილად:

1. რომელ თვისებებს აფასებ შენს თანატოლებში?
2. იცნობ გამორჩეულად მოწესრიგებულ ადამიანებს? როგორ იქცევიან ისინი?
3. შენი აზრით, რატომ ქმნიან წესებსა და ნორმებს სკოლაში? საზოგადოებაში? ქვეყანაში?
4. შენ იცავ წესებს? მოგწონს მათი დაცვა? რატომ?

განიხილე სიტუაცია:

წესები ჩვენ ირგვლივ

დღეს რეზოს პირველი დღეა ახალ სკოლაში და ჯერ კიდევ უცხოდ გრძნობს თავს, თუმცა გარემო და ბავშვები ძალიან მოეწონა. სკოლის ოთხსართულიანი შენობა კოპწია და მოწესრიგებულია. სკოლის წინ ახალი საფეხბურთო მოედანია. ამან ყველაზე მეტად გაახარა ფეხბურთის მოყვარული ბიჭი. ამასთან, აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი თანაკლასელი, გურამი, მის მეზობლად ცხოვრობს და ისიც ფეხბურთელია.

– ათი წუთით დამელოდე, გავთავისუფლდები და აგიხსნი როგორი წესების დაცვა მოგიწევს ჩვენთან – სთხოვა გაკვეთილების დამთავრების შემდეგ რეზოს კლასის დამრიგებელმა.



ბიჭს ლოდინი მალე მობეზრდა და სკოლის დათვალიერება განიზრახა. ზედა სართულზე ავიდა თუ არა, ის გაოცებულმა ქალბატონმა შეაჩერა:

– აქ რა გინდა?! ხომ იცი, რომ უფროსებს დაწყებითი კლასების ტერიტორიაზე შემოსვლა გეკრძალებათ?

რეზოს შერცხვა, უსიტყვოდ დაეშვა კიბეზე და ეზოში გავიდა. მწვანე საფარიანი დიდი საფეხბურთო მოედნის დანახვამ ხასიათი გამოუკეთა და გადაწყვიტა, ცოტა ხნით მოთამაშე ბავშვებს შეერთებოდა.



– წესები ხომ იცი? – მხარზე ხელი შეახო სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა მასწავლებელმა და იმ აბრაზე მიუთითა, რომელზედაც ეწერა, რომ ბავშვები მოედანზე მათი კლასისათვის განკუთვნილ საათებში და მხოლოდ მასწავლებელთან ერთად დაიშვებოდნენ.

შეწუხებულმა რეზომ მოუბოდიშა და მოშორებით მდგომ ახალ თანაკლასელებს შეუერთდა. ბიჭებმა ბევრი საინტერესო თავგადასავალი გაიხსენეს, რეზოსაც მოუნდა მათთან ერთად გართობა, ამიტომ ბიჭებს შესთავაზა სკოლასთან მდგარი მანქანის საკეტი ჩაეტეხათ და სასეირნოდ წასულიყვნენ.



– რას ამბობ, როგორ შეიძლება? – გაოცდნენ ბიჭები.
– მაშინ აქვე მდინარეზე წავიდეთ და ვიბანაოთ, წყალი თბილია! – ახალი წინადადება წამოაყენა მან.
– აქ ბანაობა სახიფათოა, აკრძალულია! – მიიღო მან პასუხად.

ამ დროს კლასის დამრიგებელმაც უხმო და გააფრთხილა, რომ ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას სკოლის წესები, იყოს თავაზიანი და მოწესრიგებული, პატივი სცეს სხვების უფლებებს და გრძნობებს. გააფრთხილა, რომ სკოლის ტერიტორიაზე ჩხუბი, ფულის ან რაიმე ნივთის გამოძალვა, აზარტული თამაშები, ალკოჰოლური სასმელის ფლობა ან გამოყენება, სკოლის კუთვნილი ქონების დაზიანება სასტიკად აკრძალულია...

– მოგეწონა ახალი სკოლა? – დაინტერესდა გურამი, როდესაც ბიჭები შინისაკენ ერთად გაეშურნენ.
– ბევრი წესია. ძალიან შევიზღუდე. – აღიარა რეზომ. – რა საჭიროა ამდენი წესი?

– კი მაგრამ, ძველ სკოლაში არ იყო?
– რა ვიცი, მგონი არა... – მერე დაფიქრდა და უპასუხა: – შეიძლება იყო, მაგრამ ალბათ იმ წესებს მიჩვეული ვიყავი და შეზღუდვად არ აღვიქვამდი.
– ვინ ადგენს ამ ნორმებს სკოლაში?



– ჩვენ, ყველა ერთად: მოსწავლეები, დირექცია, მასწავლებლები, მშობლები. ჯერ შევიმუშავებთ – შემდეგ კი ვიცავთ... ფრთხილად! აქ ქუჩის გადაჭრა არ შეიძლება, საშიშია, ხიდით უნდა გადავიდეთ!
– შეაჩერა მეგობარმა რეზო, ხიდისაკენ წაიყვანა და გაუღიმა – ეს კი ჩვენ ნამდვილად არ დაგვიდგენია.

დავალება I

მოიყვანე შენი სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი წესების მაგალითები:

ანალიზი

.....
.....
.....
.....
.....

შეავსეთ ცხრილი



	სიტუაციაში ნახსენები რომელი წესები(ნორმები) მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად?	ჩამოწერეთ რატომ შემოიღეს ეს წესები, რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული მათგანი?	როგორი ფუნქცია აკისრია ამ ნორმებს- დაცვის, შეზღუდვის თუ სადამსჯელო?	როგორი კანონზომიერება დაინახეთ?	ვინ უნდა აიღოს პასუხის-მგებლობა ამ წესების შესრულება-დაცვაზე?
1.					
2.					
3.					
4.					

ყველაფერი ის, რაც ადამიანის ცხოვრებას ეხება, ნორმებით რეგულირდება.

იცით თუ არა, რომ

საინტერესო და მნიშვნელოვანი

- **კანონი** არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - პარლამენტის მიერ მიღებული აქტი, რომელიც არეგულირებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კანონები უხსოვარი დროიდან არსებობს. ადამიანები იმისათვის იღებენ კანონებს, რომ დაიცვან საკუთარი უფლებები, საკუთრება, სახელმწიფო, საზოგადოება.

- **წესები** საზოგადოების მიერ დადგენილი და აღიარებული ნორმებია.

- **ნორმები** – გარკვეულ ვითარებაში ადამიანის მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპებია.

- **იცნობდე საზოგადოებაში დადგენილ ნორმებს,** ნიშნავს იცოდე ამ საზოგადოებაში რა როგორ უნდა გაკეთდეს, რა არის დასაშვები და რა არის აკრძალული. ეს დაგეხმარება ამ საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

- ხშირად, სიტყვები: „წესი“, „კანონი“, „კანონმორჩილება“, – შეზღუდვასთან, წნეხთან, სასჯელთან ასოცირდება, თუმცა მათი არსებობა საჭიროა იმისათვის, რომ ცხოვრება უფრო დაცული იყოს და სხვა ადამიანებთან ურთიერთობები გაადვილდეს.

მნიშვნელოვანია!

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და **კანონის წინაშე თანასწორია** განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14).

კანონი უზენაესია!

- ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს ემორჩილება როგორც ყველა რიგითი მოქალაქე, ისე მთავრობის წარმომადგენელი, რადგან **კანონის წინაშე ყველა თანასწორია.**
- ადამიანის ურთიერთობა კანონთან უფრო მარტივი ხდება, თუ მან იცის კანონის მოთხოვნები და ის პასუხისმგებლობები, რომლებიც მას ამ კანონის დარღვევისათვის დაეკისრება.
- პასუხისმგებლობა, რომელსაც კანონი აკისრებს მოქალაქეებს – არის **იურიდიული პასუხისმგებლობა**.
- ყველა ადამიანს უპირველეს ყოვლისა აქვს **მორალური პასუხისმგებლობა** ოჯახის, მეგობრების, ახლობლების, სკოლისა და სახელმწიფოს წინაშე. ამ პასუხისმგებლობას ადამიანი თავად კისრულობს.



მოამზადეთ რეკომენდაციები ზემოთ აღწერილი შემთხვევის მონაწილეებისათვის

რეკომენდაცია 1. .....

.....

რეკომენდაცია 2. .....

.....

რეკომენდაცია 3. .....

.....

იმსჯელეთ:

- როგორ უნდა მოვიქცეთ ახალ გარემოში?

. . . . . .

. . . . . .

- რა მნიშვნელობა აქვს წესების დაცვას?

. . . . . .

. . . . . .

- ყოველთვის საჭიროა წესების დაცვა, თუ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები?

. . . . . .

. . . . . .

- როგორ მივიღოთ ინფორმაცია საზოგადოებაში არსებულ წესებზე?

. . . . . .

. . . . . .



სამი რჩევა საკუთარ თავს

1

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

2

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

3

. . . . . .

. . . . . .

ვისაუბროთ გულახდილად:
დაგიკარგავს შენთვის ღირებული ნივთი?
რა განცდა დაგეუფლა?

განიხილე სიტუაცია:

ეს ხუმრობაა?

ზარი დაირეკა და დიდი დასვენება დაიწყო. საკლასო ოთახი მოსწავლეებმა სწრაფად დატოვეს, ყველა ბუფეტში ჩასვლას ჩქარობდა. მხოლოდ ნიკა და გეგა ითრევდნენ ფეხს. ისინი თითქოს კლასში დარჩენას ცდილობდნენ, მაგრამ მასწავლებელი კართან იდგა და მათ ელოდებოდა. მან ბიჭების გასვლისთანავე კარი დახურა და სამასწავლებლოსაკენ გაემართა.

ნიკა და გეგა, რომლებიც შორიდან აკვირდებოდნენ მასწავლებელს, მაშინვე სირბილით დაბრუნდნენ კლასში და კარი შიგნიდან ჩარაზეს.



– სწრაფად, სწრაფად, ყველას შევუცვალოთ ნივთები, ნახე რა დატრიალდება, კარგად ვიხალისებთ! – ნიკა ეშმაკურად იცინოდა, მეგობართან ერთად თანაკლასელების ჩანთებიდან წიგნებს და რვეულებს იღებდა და სხვა მოსწავლის ჩანთაში ალაგებდა.

– ნახე, გვანცას მობილური ტელეფონი ჰქონია ჩანთაში! გეგამ ჩანთიდან ამოღებული ტელეფონი გამორთო და საკიდზე ჩამოკიდებული ქურთუკის ჯიბეში ჩადო.

– ბიჭო, თათიას სასიყვარულო წერილებს სწერენ?! – ნიკას თათიას ჩანთიდან ნივთები გადმოეყარა და ხელში კონვერტი ეჭირა.


ბიჭებმა კონვერტი ინტერესით გახსნეს, მაგრამ იქ წერილის ნაცვლად ფული აღმოჩნდა.
– რამდენი ფულიააა! 50 ლარია, მოდი ავიღოთ! – ერთხმად წამოიძახა ორივემ.
– ახლა შეგვიძლია კინოში წავიდეთ და რაც მოგვესურვება ვიყიდოთ.
– ნიკამ ფული ჯიბეში ჩაიდო, ცარიელი კონვერტი დალუქა და სხვა

ნივთებთან ერთად პატრონის ჩანთაში დააბრუნა. ბიჭებმა საკლასო ოთახი სირბილით დატოვეს...

შესვენებიდან დაბრუნებული ბავშვების ხალისიანი განწყობა მალე აღშფოთებით შეიცვალა:
– სად არის ჩემი დავალება?
– სად არის ჩემი კალამი ?
– დღიური დავკარგე!
– ვაიმე, ჩემი მობილური გაქრა! – ისმოდა კლასში.

ყველაზე მეტ პრეტენზიას კი ნიკა და გეგა გამოთქვამდნენ:
– კლასში არავინ დარჩენილა და ასე როგორ აირია ყველაფერი? – კითხულობდნენ გაოცებულები და ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ ეს პარალელური კლასის ბიჭების ნახელავი იყო.

აღშფოთებულმა კლასის დამრიგებელმა სკოლის მანდატურებთან ერთად მოკვლევა დაიწყო. ისინი პარალელურ კლასელ ბიჭებს ინციდენტთან დაკავშირებით კითხვებს უსვამდნენ. ამან ორი კლასის მოსწავლეებს შორის ურთიერთობა დაძაბა, ერთმანეთს ბრალდებების წაყენება დაუწყეს.



ამ დროს თამარმა ქურთუკი შემოიცვა და ჯიბეში მობილური ტელეფონი აღმოაჩინა. გოგონა დაიბნა, ვერ გაბედა ფაქტის შესახებ განეცხადებინა: ვინმეს არ ეგონოს, მე ამოვიღეო. მან ნაპოვნი ნივთი ფანჯრის რაფაზე ჩუმად დადო.

– შეხედეთ, მობილური ტელეფონი თამარს აუღია! – ყვირილი ატეხა ნიკამ, რომელიც თამარის მოქმედებას შორიდან აკვირდებოდა. გაოგნებული გოგონა გაწითლდა, ატირებული დიდხანს ირწმუნებოდა,მე არაფერ შუაში ვარო, მაგრამ თანაკლასელები და მასწავლებლები ეჭვით უყურებდნენ. ერთმა ისიც უთხრა, ასეთი რამ არ უნდა გეკადრაო.



მეორე დღეს თათიას დედა სკოლაში აღშფოთებული გამოცხადდა და კლასს აცნობა, რომ ფული, რომელიც შვილს ავადმყოფ ბებიასთან წამლებისათვის გაატანა, ვიღაცამ კონვერტიდან ამოიღო. მან ბავშვებს ულტიმატუმი წაუყენა: თუ მოსწავლე, რომელმაც ეს ჩაიდინა არ გამოტყდებოდა, მაშინ აუცილებლად მოიწვევდა სამართალდამცავებს და კონვერტიდან თითის ანაბეჭდების აღების შემდგომ დამნაშავეს გამოააშკარავებდა.

დიდი ყოყმანის შემდეგ ბიჭებმა ამოღერღეს, რომ ნივთები ცუდი განზრახვით არ შეუცვლიათ, ფული კი დაეხარჯათ. დირექტორმა ბიჭებს განუცხადა, რომ მკაცრად დაისჯებოდნენ და აღებული თანხის დაბრუნების ვალდებულება დააკისრა.
– რატომ? ჩვენ მხოლოდ ვიხუმრეთ! – თავს იმართლებდნენ ისინი.

დავალება I



მოიყვანეთ მსგავსი შემთხვევების მაგალითები თქვენი სასკოლო ცხოვრებიდან. როგორ დასრულდა ეს შემთხვევები?

ანალიზი

.....

.....

.....

.....

.....

შეავსეთ ცხრილი



	რომელი პრობლემები დაინახეთ სიტუაციაში?	ვინ დაზარალდა?	ჩამოწერეთ თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზები	მომხდარი ფაქტის შემდეგ როდის უნდა შეჩერებუ-ლიყო პრობლემის განვითარება? როგორ?	ვის მიერ უნდა შეჩერებულიყო სიტუაციის განვითარება?	ვინ უნდა აიღოს მომხდარზე პასუხისმგებლობა?
1.						
2.						
3.						
4.						

ჯგუფებში გაანალიზეთ ანწერეთო სიტუაცია შეავსეთ ცხრილი და მოამზადეთ პრეზენტაცია:



საინტერესო და მნიშვნელოვანი

გახსოვდეს!

- **ქურდობა** არის სხვისი ნივთის ფარულად დაუფლება კანონსაწინააღმდეგო გზით.
- „საკუთრების უფლება“ **კონსტიტუციით დაცული და უზრუნველყოფილი უფლებაა**. მისი დაცვა ევალება, როგორც სახელმწიფოს, ასევე თითოეულ ადამიანს.
- არავის აქვს სხვისი ნივთის მისაკუთრების უფლება.
- ქურდობის შედეგი **მორალურად** აზრალებს როგორც დაზარალებულს, ასევე დამნაშავეს და მთლიანად საზოგადოებას.

მნიშვნელოვანია!

- **ქურდობა დანაშაულია.**
- კანონის მიხედვით ქურდობა ისჯება ჯარიმით ან დამნაშავის თავისუფლების შეზღუდვით.
- უფროსი პირის მიერ ქურდობაზე მოზარდის წაქეზებისას, ისჯება როგორც წამქეზებელი, ასევე შემსრულებელი.



მოამზადეთ რეკომენდაციები ზემოთ აღწერილი შემთხვევის მონაწილეებისათვის

რეკომენდაცია 1. .....

.....

რეკომენდაცია 2. .....

.....

რეკომენდაცია 3. .....

.....

იმსჯელეთ:

- როგორ უნდა მოიქცეს ქურდობის თვითმხილველი ადამიანი?

. . . . . .

. . . . . .

- რატომ ქურდობენ ადამიანები?

. . . . . .

. . . . . .

- როგორი ავტორიტეტით სარგებლობს მოზარდი თანატოლებში, თუ ცნობილია, რომ ის ქურდობს?

. . . . . .

. . . . . .



სამი რჩევა საკუთარ თავს

1

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

2

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

3

. . . . . .

ვისაუბროთ გულახდილად:

1. ვინმე უსამართლოდ მოგქცევია?
2. რა განცდა დაგეუფლა?
3. შენი აზრით, რატომ მიმართავენ მოზარდები ძალადობას?
4. როგორ შეიძლება უსამართლობასა და ძალადობასთან გამკლავება?

განიხილე სიტუაცია:

ეს არის მეგობრობა?

მე-7 კლასელი ბიჭები სპორტის გაკვეთილიდან კლასში გახალისებულები დაბრუნდნენ: ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ, ერთმანეთს ბურთს ესროდნენ. გოგონებმა სთხოვეს, რომ შეეწყვიტათ თამაში, მაგრამ ბიჭებს მათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

პაპუნამ მისკენ დარტყმულ ბურთს ფეხი ოსტატურად დაახვედრა და მიმართულება შეუცვალა. რამდენიმე ბავშვი ჰაერში ხელით მისწვდა ბურთს, რომელიც მოულოდნელად ფანჯარას მოხვდა. უზარმაზარი მინა ერთ წამში საშინელი ხმაურით ჩამოიშალა. ერთი მოზრდილი ნამსხვრევი ფანჯარასთან მდგომ მარიამს ფეხზე დაეცა. გოგონას დაზიანებული ფეხიდან სისხლი ჩამოუვიდა.



მარიამი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

ფეხბურთის მოყვარული ბიჭები ძალიან შეწუხდნენ და შეშინდნენ. იცოდნენ, რომ მარიამის უფროსკლასელი ძმა მეორე დღეს ამ ამბის გარკვევას შეეცდებოდა. გარდა ამისა, მინის ღირებულებასაც ხომ ანაზღაურება დასჭირდებოდა! ბიჭებს შორის ურთიერთბრალდებები დაიწყო:



– შენი ბრალია, შენ დაარტყი ფანჯრისკენ, ამიტომ პასუხს შენ აგებ! – უმტკიცებდა ლაშა პაპუნას.

– მე რა შუაში ვარ? მე კედლისკენ დავარტყი, მაგრამ გიამ თავი დაარტყა, მერე შოთამ ხელით მოიგერია და ბურთიც ფანჯრისაკენ წავიდა! – თავს იცავდა პაპუნა.

– რა გინდა თქვა, რომ ჩემი ბრალია?! – აღშფოთდა შოთა, – მე მაბრალებ?

– არ გაბრალებ, სიმართლეს ვამბობ. შენც ხომ იცი რომ ასეა? – უპასუხა პაპუნამ.

– ამიხსენით, მხოლოდ მე რატომ ვარ დამნაშავე?

– რა სიმართლეს ამბობ? შენ ის თქვი რატომ ესროლე ფანჯარას? – გაბრაზებულმა შოთამ ხელი შემოარტყა პაპუნას, რომელმაც თავი ვერ შეიკავა, წაბარბაცდა და იატაკზე დავარდა.

– ვცემოთ! – დაიძახა გიამ და წაქცეულს ფეხი დაარტყა. ბიჭები უცებ აენთნენ და პაპუნას ცემა დაუწყეს.



– გვეყოფა! წავიდეთ! – შოთას მოწოდებაზე მოჩხუბარეებმა სასტიკად ნაცემი თანაკლასელი მიატოვეს და გაიქცნენ. გზად მათ იდეა გაუჩნდათ: ბიჭებმა გადაწყვიტეს, მარიამის ძმასთან მისულიყვნენ და ეთქვათ, რომ დამნაშავეს საკადრისად გაუსწორდნენ...

ამ იდეით გამხნევებულმა მოზარდებმა მშვიდად განაგრძეს გზა.

დავალება I



მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები თქვენი სასკოლო ცხოვრებიდან. როგორ დასრულდა ის შემთხვევები?

როგორი ავტორიტეტით სარგებლობენ თქვენს სკოლაში შოთას და მარიამის ძმის მსგავსი მოსწავლეები?

ანალიზი

.....

.....

.....

.....

.....

შეავსეთ ცხრილი



	რომელი პრობლემები დაინახეთ სიტუაციაში?	ჩამოწერეთ თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზები	როდის უნდა შეჩერებულიყო პრობლემის განვითარება?	ვის უნდა გადაეჭრა პრობლემა?	ვინ უნდა აიღოს მომხდარზე პასუხისმგებლობა?
1.					
2.					
3.					
4.					

ჯგუფებში გაანალიზეთ დაწერილი სიტუაცია შეაფასეთ ცხრილი და გააკეთეთ დასკვნები:



საინტერესო და მნიშვნელოვანი

ძალადობაა ყველა ისეთი მოქმედება, რომელიც სხვა ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის, პატივისა და ღირსების, საკუთრების უფლების შელახვას იწვევს.
არსებობს **ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური** და ძალადობის სხვა ფორმები.

ფიზიკური ძალადობის ფორმებია:
- ჩხუბი, ფიზიკური ზიანის მიყენება, მათ შორის იარაღით
- საკუთრების ხელყოფა, ან განადგურება
- ფიზიკური შეურაცხყოფა, და სხვა

ფსიქოლიგიურ (ემოციურ) ძალადობას აქვს ადგილი, თუ ერთი ადამიანი მეორეს მუდმივად:
- აკრიტიკებს, ჩაგრავს, აშინებს, ამცირებს, სიტყვიერ შეურაცყოფას აყენებს
- დასცინის, აბუჩად იგდებს მას და მის შეხედულებებს
- აიძულებს შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება არ სურს
- უკრძალავს რაიმე მოქმედების შესრულებას
- უკრძალავს მეგობრებთან და ახლობლებთან ურთიერთობას
- უგზავნის შეურცხმყოფელ ან მუქარის მესიჯებს
- ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ფიზიკურ ან გონებრივ ნაკლზე, დასცინის და აბუჩად იგდებს მას.

ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგი შეიძლება იყოს ცოდნის გამოხატვის შიში.

ეკონომიკური ძალადობაა მუდმივად ფულის გამორთმევა (რეკეტი).

ხშირად ადამიანები იმიტომ მიმართავენ ძალადობას, რომ ცდილობენ დაამტკიცონ საკუთარი უპირატესობა სხვებთან მიმართებით, ან ამ გზით საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება სურთ.

გახსოვდეს!

ნებისმიერი ფორმის **ძალადობა ითვლება დანაშაულად** და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვთ ისჯება.

2006 წელს საქართველომ მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". ამ კანონის მიღებით სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიღო, რომ დაიცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ზრდასრულებს, ბავშვებს და მოზარდებს.

გონივლოვანია!

ძალადობამ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს როგორც **დამთრგუნველი შედეგები:** შიში, სირცხვილის და უსუსურობის განცდა, თვითშეფასების დაქვეითება, დეპრესია, პიროვნული ჩაკეტილობა ან საზოგადოებისაგან გარიყულობის განცდა, ასევე აგრესია: განრისხება, სამაგიეროს გადახდის, ზიანის მიყენების სურვილი.



მოამზადეთ რეკომენდაციები ზემოთ აღწერილი შემთხვევის მონაწილეებისათვის

რეკომენდაცია 1. .....

.....

რეკომენდაცია 2. .....

.....

რეკომენდაცია 3. .....

.....

იმსჯელეთ:

- როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან მსგავსი ფაქტები?

.....

.....

- როგორ უნდა გამოსწორდეს მეგობრებს შორის ასეთი ინციდენტის შემდეგ ურთიერთობა?

.....

.....

- როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე, რომელიც სხვა მოზარდებმა დაჩაგრეს?

.....

.....

- როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვხედავთ რომ ვინმეს ჩაგრავენ?

.....

.....



სამი რჩევა საკუთარ თავს

1

.....

.....

.....

.....

2

.....

.....

.....

.....

3

.....

.....

ვისაუბროთ გულახდილად:

1. რომელი ნივთები ითვლება სკოლაში აკრძალულად? რატომ?
2. ჩამოთვალე ნივთები, რომელთა უნებართვოდ ფლობა და ტარება აკრძალულია
3. რატომ უჩნდება ზოგიერთ მოსწავლეს სკოლაში იარაღით სიარულის სურვილი?

განიხილე სიტუაცია:

იარაღი სკოლაში?!

სამი თანაკლასელი ბიჭი დერეფნის ბოლოში მშვიდად საუბრობდა. იქვე ფანჯარასთან მათი თანაკლასელი გოგონები იდგნენ. ამ დროს უფროსკლასელმა თენგომ გამოიარა.

– გადადით, ბიჭო, კიბის ქვეშ. არ იცით, რომ აქ ჩვენი ადგილია? – გოგონების გასაგონად უხეშად მიმართა მან ბიჭებს.



– რა გინდა? – ბიჭები შეცბნენ და გოგონებს გახედეს.

– მოუსვით აქედან! – თენგომ მათ დამამცირებლად მიმართა და ლევანს თავში წამოარტყა.

– რატომ ურტყამ?! – იყვირა ერეკლემ. თვალის დახამხამებაში ჯიბიდან დანა ამოიღო და თენგოს მოუქნია. თენგომ ერეკლეს ხელი აიცილა და თვითონ დაარტყა მას. ამ დროს საბამ მისი შეჩერება სცადა. როგორც ჩანს, თენგოსაც იარაღი ეჭირა ხელში, რადგან საბას მკლავიდან სისხლი წამოუვიდა.

– ვაიმე, დანები აქვთ! – აყვირდნენ გოგონები. ხმაურზე მოჩხუბარი ბიჭების გარშემო ბავშვები მოგროვდნენ.

ის იყო ლევანიც გააქტიურდა, რომ მოჩხუბრებს თავზე სკოლის დირექტორი და მანდატურები დაადგნენ.



– ჩამობრძანდით ჩემს კაბინეტში! – გაბრაზებით მიმართა მათ დირექტორმა.

ბიჭები მოთხოვნას დაემორჩილნენ. მანდატურებმა ბავშვებს განუმრტეს, რომ სკოლაში იარაღის მოტანით მათ მოსწავლის ქცევის კოდექსი და სკოლის შინაგანაწესი დაარღვიეს. მათ მოზარდებს მოსთხოვეს, იარაღი მაგიდაზე დაეწყოთ.

– რა იარაღი, რატომ გვაბრალებთ?! – აღშფოთებას არ მალავდნენ ბიჭები.

– ეს ხომ მე თვითონ გავაკეთე ძველი რკინის ნატეხისაგან?!

– მე ჩვეულბივი პლასტმასის სახაზავს წვერი წავუმახვილე.

– ეს ხომ მხოლოდ ჯოხია, ოდნავ სახეშეცვლილი. აი თენგოს კი ნამდვილი დანა აქვს!

– სამაგიეროდ შენ ნამდვილ კასტეტს ატარებ!

ბიჭები ძალიან შეშინდნენ, როდესაც მანდატურებმა განმეორებით აუხსნეს, რომ მათ დანაშული ჩაიდინეს, ვინაიდან სკოლაში თვითნაკეთი ცივი იარაღი მოიტანეს და გამოიყენეს.



დავალება I



მოიყვანეთ აკრძალული ნივთების ტარების შესახებ მაგალითები თქვენი სასკოლო ცხოვრებიდან. როგორ დასრულდა ის შემთხვევები?

ანალიზი

.....

.....

.....

.....

.....

შეავსეთ ცხრილი



ჯგუფებში გაანალიზეთ ანერილი სიტუაცია შეავსეთ ცხრილი და მიაგზავნეთ ჯგუფებს განსახილველად:

	რომელი პრობლემები დაინახეთ სიტუაციაში?	ჩამოწერეთ თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზები	როდის უნდა შეჩერებულიყო პრობლემის განვითარება?	ვის უნდა გადაეჭრა პრობლემა?	ვინ უნდა აიღოს მომხდარზე პასუხისმგებლობა?
1.					
2.					
3.					
4.					

იცით თუ არა, რომ

საინტერესო და მნიშვნელოვანი

- კანონის მიხედვით **იარაღი** არის ყველა ის მოწყობილობა ან საგანი, რომელებიც განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დაზიანებისა და განადგურებისათვის;

- არსებობს **იარაღის სხვადასხვა ტიპი:**
  ცეცხლსასროლი იარაღი;
  ცივი იარაღი;
  გაზის იარაღი;
  საფანტის იარაღი;
  ელექტროშოკური იარაღი;
  პნევმატური იარაღი;
  საკოლექციო იარაღი და სხვა.

- სხვადასხვა ტიპის იარაღის გაუფრთხილებელი ხმარებით მსოფლიოში ყოველდღიურად უამრავი მოზარდი იღუპება.

მნიშვნელოვანია!

- **სახელმწიფო მკაცრად სჯის** იმ პირებს, რომლებიც იარაღის ტარების და შენახვის წესების დარღვევით საფრთხეს უქმნიან როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებს.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის მიზნით იარაღის გამოყენების მცდელობაც კი დასჯდი ქმედებაა.
- დასჯადია როგორც ცეცხლსასროლი, ასევე ცივი იარაღის როგორც ტარება, ასევე უნებართვოდ შენახვაც.

გახსოვდეს!

კანონი არეგულირებს იარაღის კანონიერ გაყიდვას, შენახვას, ტარებას, დამზადებას და ა.შ.
იარაღის უკანონო ტარება 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.



მოამზადეთ რეკომენდაციები ზემოთ აღწერილი შემთხვევის მონაწილეებისათვის

რეკომენდაცია 1. .....

რეკომენდაცია 2. .....

რეკომენდაცია 3. .....

იმსჯელეთ:

- როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან სიტუაციაში აღწერილი ფაქტები? მათი სავალალო შედეგები?

.....

.....

- როგორ უნდა გამოსწორდეს მომხდარი ინცინდენტის შემდეგ სიტუაცია სკოლაში?

.....

.....

- რა დამოკიდებულება აქვს მოძალადე ადამიანების მიმართ საზოგადოებას?

.....

.....



სამი რჩევა საკუთარ თავს

1 .....

.....

.....

.....

2 .....

.....

.....

.....

3 .....

.....

ვისაუბროთ გულახდილად:


1. რას ფიქრობ ნარკომანიაზე, ალკოჰოლზე, სიგარეტზე?
2. გაგიკეთებია ისეთი რამ, რასაც გიკრძალავენ მშობლები, მასწავლებლები?
3. როგორ უნდა ებრძოლოს საკუთარ მავნე ჩვევებს ადამიანი?

განიხილე სიტუაცია:

არდადეგები დაიწყო...

მე-7 კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს გაკვეთილების შემდეგ სადმე ერთად წასულიყვნენ და ზაფხულის არდადეგების დაწყება აღენიშნათ.

– ცხელა, ნაყინზე წავიდეთ! – შესთავაზეს გოგონებმა.
– რა ნაყინი? თქვენსავით ბავშვები კი არ ვართ?! – გაიბღინძნენ ბიჭები
– დაგავიწყდათ, რომ დღეიდან ნამდვილი ცხოვრება იწყება?!
ბიჭებმა ფული შეკრიბეს და გოგონებისათვის ნაყინი შეიძინეს.
– იქნებ თქვენ სამაგიეროდ სასმელზე დაგვპატიჟოთ?! – სთხოვა შოთამ გოგონებს.
– მამაჩემს კარგი ღვინო აქვს, – გაახსენდა ნუცას, – ახლავე მოვიტან, სახლში არავინაა.



მალე მან ბიჭებს ღვინით სავსე ბოთლები გადასცა და თავი რომ მოეწონებინა, ერთი კოლოფი სიგარეტიც მოუტანა.

– მაგარი გოგო ხარ! – თანაკლასელებისაგან შექება დაიმსახურა გოგონამ.




მოზარდები ბოთლიდან ცოტ-ცოტა სასმელს რიგ-რიგობით წრუპავდნენ, ალკოჰოლისაგან გათამამებულბი ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, მღეროდნენ. ბავშვებმა ერთხანს ისეირნეს, მაგრამ გოგონებს სიცხეში ხეტიალი მალე მობეზრდათ და დაიშალნენ, ბიჭები კი სკოლის ეზოში დაბრუნდნენ და ღვინის დასალევად მოფარებულ კუთხეში განთავსდნენ.

– ყველას გეპატიჟებიიით!!! – ამაყად სთავაზობდნენ ისინი სასმელს ეზოში მყოფთ, უნდოდათ მათი სიმთვრალე სხვებსაც შეემჩნიათ. მალე მათმა ხმამაღალმა შეძახილებმა ყურადღება მიიპყრო და რამდენიმე უფროსკლასელი ბიჭი შეუერთდა: სიგარეტს აბოლებდნენ და ერთმანეთს სასმელის დალევაში ეჯიბრებოდნენ. კმაყოფილება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბიჭების ნაწილმა შინ წასვლა გადაწყვიტა

– თავს ცუდად გრძნობდნენ: ზოგს თავბრუ ეხვეოდა, ზოგი ფეხზე ვერ დგებოდა, ზოგს სიგარეტზე ხველა დაეწყო.

დარჩენილმა ბიჭებმა სასმელის დამატება მოისურვეს.
– იდეა მაქვს, ვიცი ვის უნდა ვაყიდინოთ სასმელი! – შოთამ ბიჭებს მე-5 კლასელი ზუკა დაანახვა, რომელიც ბურთს კალათში ისროდა.
– ზუკა, ახლოს მოდი! – დაუძახეს მას და ბოთლში დარჩენილი სასმელი შესთავაზეს.



– ვერ დალევ, ჩემთვის არ შეიძლება! – იუარა ზუკამ.
– როგორ ვერ დალევ? ბიჭი არ ხარ? ერთხელ ხომ უნდა დათვრე?! – დასცინეს ზუკას ბიჭებმა. – შემოგვიერთდი, ჩვენთან ერთად იზეიმე: როგორც იქნა დავამთავრეთ სკოლა.
– მე შენს ასაკში დავიწყე ყლუპებით და უკვე მიჩვეული ვარ სასმელს. – ურჩია შოთამ ზუკას, რომელმაც კვლავ იუარა.
– რას ვეხვეწებით? ჩავასხათ! – დაიძახა ვიღაცამ...



ხმაურზე სკოლის დარაჯი გამოივიდა, მაგრამ ნასვამი მოზარდების დაწყნარება ვერ შეძლო. ბევრი მათგანი თავს ცუდად გრძნობდა და გაღიზიანებული იყო. ყველაზე ცუდად თავს ზუკა გრძნობდა. ის უკვე გონებას კარგავდა...

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ზუკა სამდიცინო კლინიკაში მიიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მას ალკოჰოლზე ალერგიული რეაქცია დაეწყო.

– ყველა მკაცრად დასაჯეთ, მსგავსი ქმედებების ჩადენა რომ ველარ გაბედონ! – მოითხოვდა ზუკას მამამ პოლიციელებისაგან – ჩემი შვილი გადარჩა, მაგრამ დარაჯი რომ არ ჩარეულიყო, უბედურება დატრიალდებოდა.

დავალება I

მოიყვანეთ მავნე ჩვევების შესახებ მაგალითები თქვენი სასკოლო ცხოვრებიდან. როგორ დასრულდა ეს შემთხვევები?

ანალიზი

.....

.....

.....

.....

.....

შეავსეთ ცხრილი



ჯგუფებში გაანალიზეთ აღწერილი სიტუაცია შეავსეთ ცხრილი და მოამზადეთ პრეზენტაცია:

	რომელი პრობლემები დაინახეთ სიტუაციაში?	ჩამოწერეთ თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზები	როგორ შეიძლებოდა მოქმედებების თავიდან აცილება?	ვინ უნდა აიღოს მომხდარზე პასუხისმგებლობა?
1.				
2.				
3.				
4.				



საინტერესო და მნიშვნელოვანი

გახსოვდეს!

- საქართველოს კანონი „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ “სააღმზრდელო, საგანმანათლებლო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და დახურულ სპორტულ ნაგებობებში **კრძალავს თამბაქოს მოხმარებას**;

- კანონით ასევე **აკრძალულია** საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში **სპირტიანი სასმელების მიღება,** აზარტული თამაშები, უცენზურო სიტყვების ხმარება.

- მშობლებსაც კი ეკრძალებათ უბიძგონ არასრულწლოვნებს, მიიღონ ალკოჰოლი. ასეთი ქმედებისათვის მათ კანონი სჯის.

- მოზარდებს 21 წლამდე ეკრძალებათ სამორინეში, 18 წლამდე კი სათამაშო აპარატების სალონში ან მომგებიანი თამაშობების მოწყობის ადგილებში შესვლა, გარდა წამახალისებელი გათამაშების ადგილებისა.

იცით თუ არა, რომ

- მოზარდები სხვისი მიბაძვით, ხშირად ისეთ მავნე ჩვევებს იძენენ, როგორებიცაა: ალკოჰოლის მოხმარება, სიგარეტის მოწევა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება,რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას და ხშირად სავალალო შედეგით მთავრდება.
- მოზარდებში ძალადობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხშირად მათი ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმდების ქვეშ ყოფნა ხდება.

აზარტული თამაშებით ხანგრძლივად და სისტემატურად გართობა საფრთხეს უქმნის პიროვნების ფსიქიკას და ნებისყოფას.



მოამზადეთ რეკომენდაციები ზემოთ აღწერილი შემთხვევის მონაწილეებისათვის

რეკომენდაცია 1. .....

.....

რეკომენდაცია 2. .....

.....

რეკომენდაცია 3. .....

.....

იმსჯელეთ:

- როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან სიტუაციაში აღწერილი ფაქტები?მათი სავალალო შედეგები?

.....

.....

- როგორ უნდა გამოსწორდეს სკოლაში სიტუაცია ასეთი ინციდენტის შემდეგ?

.....

.....

- რატომ იძენენ ბავშვები მავნე ჩვევებს?

.....

.....

- რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს მავნე ჩვევამ ადამიანი?

.....

.....



სამი რჩევა საკუთარ თავს

1

2

3


ვისაუბროთ გულახდილად:

კიდევ ერთხელ დაფიქრდი და შეაფასე:

1. როგორ იქცევი სკოლაში, ოჯახში, მეგობრებთან, თანატოლებთან, უფროსებთან? უკეთესად მოქცევა შეგიძლია?
2. როგორ აფასებენ შენს ქცევას სხვები სკოლაში, სახლში და ქუჩაში?
3. ყოველთვის იცავ სკოლის დისციპლინარულ ნორმებს?
4. რა მოგაჩნია არასწორად საკუთარ ქცევებში? რატომ არ ცვლი მათ?

დაუსვი შეკითხვა შენს თავს:

ვინ ვარ მე?



„ვინ ვარ მე?“, „სწორი იყო ჩემი საქციელი?“ „სწორი გადაწყვეტილება მივიღე?“ ამ და მსგავს შეკითხვებზე პასუხების გაცემა ხშირად რთულია, რადგან, რაც ერთ შემთხვევაში სწორი გგონია, შეიძლება სხვა შემთხვევაში არასწორი აღმოჩნდეს. იმედი გვაქვს, ჩვენი კურსი დაგეხმარა და ის ცოდნა, რომელიც შეხვედრებზე მიიღე, მომავალში გაგიადვილებს საკუთარი და სხვისი ქცევების შეფასებას, კანონებთან და წესებთან ურთიერთობას.

დავალება II

ჩამოწერე შენი თვისებებიდან რომელი მოგწონს და რომელი არა? შეიძლება ეს შეფასებები შეგეცვალოს? რატომ?

 მომწონს	 არ მომწონს

გახსოვდეს!

- კანონის შეუსრულებლობას, კანონითვე დადგენილი პასუხისმგებლობა მოჰყვება. **კანონი ყველა ადამიანს აძლევს თავისუფლებას, თუმცა ამავე დროს გვაკისრებს ვალდებულებებს.** ჩვენი უფლებები და თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანების უფლებები და თავისუფლებები იწყება.

- ის **დამოკიდებულებები და თვისებები,** რომლებიც ადამიანს ბავშობაში ყალიბდება, ხშირად ძალიან **მყარია** და მას ზრდასრულ ცხოვრებაშიც მიჰყვება.

- ბევრ ადამიანს პასუხისმგებლობის აღება, ძალადობასთან შეწინააღმდეგება, წესებისა და კანონების დაცვა ბავშვობიდან ჩვევად ექცევა ხოლმე.

- ყველა მოსწავლე ვალდებულია **დაიცვას სკოლაში არსებული წესები,** რომელიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით და მოსწავლის ქცევის კოდექსით.

გაიხსენე ჩვენი შეხვედრები და თითოეული თემის ბოლოს საკუთარი თავისათვის მიცემული რჩევები.

დაფიქრდი და გულწრფელად აღიარე:

- შეიცვალა რაიმე შენს ქცევასა და შეფასებებში?

. . . . . .

. . . . . .

- რამდენი რჩევის შესრულება შეძელი?

. . . . . .

. . . . . .

- რამ შეგიშალა ხელი, თუ ისინი არ შეასრულე?

. . . . . .

. . . . . .

- რა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები აიღე სკოლისა და კლასის წინაშე?

. . . . . .

. . . . . .

- შეიცვალა შენი დამოკიდებულებები წესებთან და კანონებთან მიმართებაში? როგორ?

. . . . . .

. . . . . .

თემა დისკუსიისათვის:



1. რამდენად იღებენ თქვენი თანატოლი მოზარდები პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე?
2. მოზარდების სამართლებრივი განათლება გააუმჯობესებს მათში პასუხისმგებლობის გაცნობიერებას?

ჯგუფური დავალება I

ჩვენს კლასში სამართლებრივ კულტურას ვამკვიდრებთ!

ა. ამისათვის საჭიროა თავი ავარიდოთ საქციელს:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....

ბ. აუცილებელია, რომ:


1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....

გ. სასურველია შევძლოთ:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....

ჯგუფური დავალება II

შექმენით კლასში მშვიდობინი და სამართლებრივი გარემოსათვის საჭირო ყოველდღიური ქცევის სახელმძღვანელო დოკუმენტი „კლასის ქარტია“ და გამოაკარით თვალსაჩინო ადგილზე.





სამი რჩევა საკუთარ თავს

1 .....

.....

.....

.....

2 .....

.....

.....

.....

3 .....

.....

გისურვებთ წარმატებებს!